2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საორგანიზაციო სხდომის ოქმი N1

2025 წლის 13 თებერვალი
12:00 საათი

ქ. თბილისი, საქართველოს პარლამენტი, მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზი

დღის წესრიგი:

1. კომისიის თავმჯდომარის არჩევა;
2. კომისიის მდივნის არჩევა;
3. კომისიის დებულების პროექტის შემუშავება;
4. სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ილია ინჯია („ევროპელი სოციალისტები“), გურამ მაჭარაშვილი („ხალხის ძალა“), პაატა სალია („ქართული ოცნება“), სოზარ სუბარი („ხალხის ძალა“), ალექსანდრე ტაბატაძე („ქართული ოცნება“), თენგიზ შარმანაშვილი („ქართული ოცნება“), თეა წულუკიანი („ქართული ოცნება“). კომისიის წევრი ალუდა ღუდუშაური („ქართული ოცნება“), საპატიო მიზეზის გამო, სხდომას ვერ დაესწრო. კომისიის შემადგენლობაში წევრის ორი პოზიცია ვაკანტურია.

სხდომას უძღვებოდნენ კომისიის წევრი გურამ მაჭარაშვილი და კომისიის თავმჯდომარე თეა წულუკიანი.

კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა გახსნა კომისიის წევრმა, **გურამ მაჭარაშვილმა.** მან საზოგადოებას აცნობა, რომ პ/გ „ქართული ოცნების“ ინიციატივით შეიქმნა 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია. კომისიის საქმიანობის ვადად განისაზღვრა 3 თვე, თუმცა, კომისიას აქვს უფლება, პარლამენტს სთხოვოს სამუშაო ვადის გახანგრძლივება არაუმეტეს 6 თვისა. კომისია წარმოდგენილია „ქართული ოცნების“ 5 დეპუტატით და ასევე გამოყოფილია 5 კვოტა ოპოზიციისათვის, რომელთაგან 2 ადგილი მიეკუთვნა პ/გ „ხალხის ძალას“, ერთი „ევროპელ სოციალისტებს“ და 2 „გახარია საქართველოსთვის“ პარტიის წარმომადგენლებს. თუმცა, ამ პარტიის არჩეული დეპუტატები უარს აცხადებენ პარლამენტში მუშაობაზე და ამის გამო, მათთვის განკუთვნილი ადგილები ვაკანტურია.

გურამ მაჭარაშვილმა, მისი და კომისიის სხვა წევრების სახელით, კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელა თეა წულუკიანი, რის თაობაზეც გაიმართა კენჭისყრა. სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა მხარი დაუჭირა თეა წულუკიანის კანდიდატურას.

თეა წულუკიანმა კომისიის წევრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეს საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან კომისიამ უნდა შეაფასოს ის მძიმე წლები, რომელიც საქართველომ 2003-2012 წლებში გამოიარა. მისი თქმით, კომისიის მუშაობის მთავარი შედეგი იქნება ისტორიული დოკუმენტი, ეს მუშაობა კი დაეფუძნება მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია თავის საქმიანობას არ იწყებს ნულიდან, გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებით არაერთი დამდგარი განაჩენი არსებობს და ასევე არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამ და სხვა დოკუმენტებს, რეჟიმის შეფასებისას, ისინი აუცილებლად დაეყრდნობიან.

თეა წულუკიანმა, მისი და კომისიის სხვა წევრების სახელით, კომისიის მდივნის კანდიდატურად დაასახელა **სოზარ სუბარი** და აღნიშნა, რომ მდივნის პოზიცია, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, ოპოზიციურ პოლიტიკურ ჯგუფს ეკუთვნის, ხოლო სოზარ სუბარი მოცემული წლების მანძილზე იცავდა ადამიანის უფლებებს და მისი კომისიაში მდივნის სტატუსით საქმიანობა კომისიისთვის მნიშვნელოვანი იქნება. გაიმართა კენჭისყრა, დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სოზარ სუბარის კანდიდატურას.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიას წარმოუდგინა **კომისიის დებულების პროექტი**. გაიმართა მსჯელობა. გადაწყდა, რომ დებულება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს პარლამენტის ბიუროს მასში მცირე ცვლილებების შეტანის შემდეგ და ასევე, დაინიცირდეს სხვადასხვა ცვლილება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომელიც კომისიის წევრებს მეტ უფლებამოსილებებს მიანიჭებს, რაც კომისიის მიერ მოკლე ვადაში მოცულობითი სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელია.

„ევროპელი სოციალისტების" წარმომადგენელმა **ილია ინჯიამ** კომისიის წევრებს შესთავაზა, რომ სხვადასხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ასევე განიხილონ საქართველოს მოქალაქეების, რეჟიმის მსხვერპლების ან დანაშაულის მოწმეების, განცხადებები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კომისიის მუშაობით, რაზეც კომისიის წევრებისგან სრული მხარდაჭერა მიიღო. მან ასევე დასვა კითხვა იმ მიმართულებებზე, რომლებიც კომისიამ უნდა შეისწავლოს. მოცემულ კითხვაზე მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კომისია მოიცავს ყველა მიმართულებას (სასჯელაღსრულება, სასამართლო, მედია, ქონებრივი უფლებები, არჩევნები, საერთაშორისო სასამართლო დავები, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით, სამხედრო პირებისა და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევები, და სხვ.) და მიმართულებების შესწავლისას დაეყრდნობა ფაქტებს.

„ხალხის ძალის“ წარმომადგენლის და კომისიის მდივნის, **სოზარ სუბარის** განცხადებით, ამ კომისიის შექმნას საზოგადოება დიდი ხანია ითხოვს და მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა, რადგან შეუძლებელია ააშენო სამართლებრივი სახელმწიფო თუ წარსულს სწორად არ შეაფასებ. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, 2008 წლის ომთან დაკავშირებული არაერთი საქმე, მათ შორის ამ ომში სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი ღალატი, რომელსაც გამოძიება სჭირდება. მისი თქმით, შესასწავლია ის ფაქტი, რომელიც მოხდა 2008 წლის ომის დაწყების წინ, როდესაც ახალგორის რაიონი გამოყვეს მცხეთის მუნიციპალიტეტიდან და 20 წლის წინ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დე ფაქტო აღადგინეს და იქ არჩევნები ჩაატარეს. რა იყო ამის მიზანი, რა იყო მიზანი იმ დარღვევებისა, რომელიც მოხდა კოდორის ხეობაში, როდესაც ბატალიონ „მონადირეს“ წევრები დაიჭირეს, ზოგიერთი მათგანი ციხეში გარდაიცვალა და ზოგი იძულებული გახდა გაქცეულიყო. რატომ ჩააბარეს კოდორის ხეობა. ამ ყველაფრის შეფასება უნდა გაკეთდეს და ამას ელოდება საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. საქმიანობისას, კომისია შეძლებს დაეყრდნოს საერთაშორისო ანგარიშებს, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებსა და სხვ.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა **ალექსანდრე ტაბატაძემ** დასძინა, რომ პროკურატურაში შექმნილია სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც ძალიან დიდი სამუშაო აქვს გაწეული 2003-2012 წლების პოლიტიკური რეჟიმის საქმიანობასთან დაკავშირებით და მათი ჩართულობა ამ პროცესში მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრმა **პაატა სალიამ** დასვა საკითხი მოქალაქეების მომართვიანობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით ვადის დაწესების აუცილებლობაზე გაიმართა მსჯელობა და ჩაითვალა, რომ მოქალაქეებს ეთხოვოთ ფაქტებზე დაფუძნებული განცხადებებით მომართვა მოკლე ვადებში და განემარტოთ, რომ კომისიისთვის პარლამენტის მიერ დადგენილი ვადის იმპერატივიდან გამომდინარე, კომისიამ, შესაძლოა, ვერ შეძლოს მესამე თვეში წარმოდგენილი განცხადებების სრულფასოვნად შესწავლა.

საორგანიზაციო სხდომა დასრულდა 13 საათზე.

თეა წულუკიანი

დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე

სოზარ სუბარი

დროებითი საგამოძიებო კომისიის მდივანი